

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის მუშაობის ანგარიში

www.molhs.gov.ge

მოამზადა: ნუგზარ სურმანიძე

ლევან გორგილაძე

ზურაბ თენიეშვილი

ნონა გალოგრე

რამაზ ჯინჭარაძე

ირაკლი მახარაძე

ლიზა თედორაძე

მანანა ფაღავა

ლელა სურმანიძე

ნაზი მგელაძე

სულხან დიასამიძე

ბადრი კობალაძე

ანზორ ბალაძე

ირაკლი ქედელიძე

კობა ნაკაიძე

თემურ კახიძე

I. სამართლებლივი საფუძვლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას და შედის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში. თავისი ამოცანების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას და ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წინაშე.

სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედებს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს კანონების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

სამინისტრო ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან და ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე. სამინისტროს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინაში.

სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, დევნილთა და განსახლების სფეროში ერთიანი სამთავრობო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, სანიტარია, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა მიეკუთვნება „აჭარის განსაკუთრებული გაგმებლობას“ (მუხლი 3, ქვეპუნქტი ,,ი”).

ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც არეგულირებს სამინისტროს საქმიანობას მოიცავს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, საქართველოს შრომის კოდექსს, საქართველოს კანონებს საჯარო სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ. კონკრეტულ სფეროებში სამინისტროს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი კანონებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თავის საქმიანობას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებისა და საფუძველზე.

სამინისტროს საქმიანობა წარიმართებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 25 მაისის №12/78 ბრძანებით დამტკიცებული 2012-2015 წლების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

II სამინისტროს სისტემა

სამინისტროს სისტემაში შედის:
სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები:

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
ბ) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;
გ) სოციალური დაცვის დეპარტამენტი;
დ) დევნილთა საქმეების დეპარტამენტი;
ე) სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტი;
ვ) სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტი;
ზ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;
თ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი;
ი) ბიუჯეტის დაგეგმისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი;
კ) იურიდიული დეპარტამენტი.

სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო".

III სამინისტროს ბიუჯეტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის ბიუჯეტი (ნაერთი) – **8 866 798** ლარს შეადგენდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის ბიუჯეტი **- 1 576 252** ლარს.
ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო პროფილაქტიკური პროგრამები - **4 623 342** ლარი, სოციალური დაცვის პროგრამები - **1 290 406** ლარი.
სულ პროგრამები: - 5 913 748 ლარი.

სხვადასხვა სოციალური დახმარებები (სარეზერვო ფონდის მიერ დაფინანსებული) - **537690,58 ლარი.**

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2015 წლის ბიუჯეტი (ნაერთი) -**897 998 ლარი.**

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2015 წლის ბიუჯეტი (აპარატი) **- 516 957 ლარი.**

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2015 წლის ბიუჯეტი (პროგრამები) -**381 041 ლარი.**

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ,,დასაქმების სააგენტო" - ს 2015 წლის ბიუჯეტი (ნაერთი) -**478 800 ლარი.**

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ,,დასაქმების სააგენტო" - ს 2015 წლის ბიუჯეტი (აპარატი) – **378 800 ლარი.**

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ,,დასაქმების სააგენტო" - ს 2015 წლის ბიუჯეტი (პროგრამები) - **100 000 ლარი.**

IV სამინისტროს ხედვა; მისია; სტრატეგიული მიზნები; მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

ხედვა: აჭარა ჯანმრთელი და სოციალურად დაცული ოჯახებით;

მისია: სამედიცინო და სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მომსახურების ეფექტურობის ამაღლება, დასაქმების ხელშეწყობა, სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების მიზნობრივი დახმარება.

სამინისტროს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები 2015 წლისათვის განპირობებული იყო სტრატეგიული გეგმის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით:

- თავსებადობა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკასთან ორიენტირებული სიღარიბის შემცირებაზე;
- საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შენარჩუნება;
- ჯანმრთელობის ინდივიდუალური რისკების მართვის პასუხისმგებლობის განაწილება პიროვნებას, კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის;
- საერთო მარეგულირებელ სივრცეში კერძო და სახელმწიფო სექტორების პარტნიორობის და თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- სამედიცინო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა
- პაციენტის თავისუფალი არჩევანის უფლების უზრუნველყოფა.
- სტიქიის/ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ქმედითი დახმარების გაწევა;
- ეკოგრანტთათვის უსაფრთხო გარემოში ინტეგრირების ხელშეწყობა.

სამინისტროს სტრატეგიული მიზნები ჩამოყალიბდა ოთხი მიმართულებით:

- სამედიცინო მომსახურებისადმის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მიზნობრივი ჯგუფებისათვის;
- სოციალური დაცვის ღონისძიებების გაფართოება და დახვეწა;
- უწყების საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა და მოსახლეობის ინფორმირება ხელმისაწვდომი სოციალური მომსახურების შესახებ;
- სამინისტროს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.
- სტიქიით/ხანძრით დაზარალებული ოჯახების საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის შემუშავებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებამ საშუალება მოგვცა მიგვეღწია იმ შედეგებისათვის რაც დასახული იყო სტრატეგიული მიზნებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქსელი, კადრები და რესურსები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა:

ჰოსპიტალური სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება:

სამედიცინო ცენტრი/საავადმყოფო – 17 (მ/შორის 13 კერძო),

მ.შ. სამშობიარო სახლი - 1 (კერძო)

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება: – 28 (მ.შ. 19 კერძო)

მ.შ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური –5

სისხლის გადასხმის სადგური შპს ,,ჰემა–2012“ –1(კერძო)

სადიაგნოსტიკო-სამკურნალო/სადიაგნოსტიკო ცენტრი - 1 (კერძო)

პირველადი ჯანდაცვის ცენტრი -49

თემის სამედიცინო პუნქტი _ 184

სტომატოლოგიური პროფილის სამედიცინო დაწესებულება-109 (კერძო)

სულ 387

№	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
1	ჰოსპიტალური პროფილის სამედიცინო დაწესებულება: სამედიცინო ცენტრი/სტაციონარი	20	24	23	23	19	5	4	4	4	4
2	ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები: საოჯახო მედიცინის ცენტრი	12	12	12	12	12	4	3	4	4	4
4	სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი	7	6	6	6	6	2	1	1	5	5
5	სისხლის გადასხმის სადგური	1	1	1	1	1	1	1	1	–	–
7	პირველადი ჯანდაცვის ცენტრი	46	46	46	46	47	47	47	46	49	49
8	თემის სამედიცინო პუნქტი	176	176	177	177	178	182	181	183	184	184

2015 წლისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებია:

ჰოსპიტალური სექტორის სამედიცინო დაწესებულება:

სამედიცინო ცენტრი/სტაციონარი 4: – შპს ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო, შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო; შპს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი, შპს ნარკოლოგიური ცენტრი;

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები:

საოჯახო მედიცინის ცენტრი/პოლიკლინიკა 4: – შპს ბათუმის N1 პოლიკლინიკა, შპს მახინჯაურის მრავალპროფილური პოლიკლინიკა; შპს ბათუმის საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი, შპს თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრი.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი-5;

2015 წლისათვის კერძო სამედიცინო სექტორის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა რაოდენობა (სტომატოლოგიური დაწესებულებების გარეშე) შეადგენს 32, მათ შორის:

სამედიცინო ცენტრი ჰოსპიტალური სერვისის პროფილით – 13:

შპს ჯანმრთელობის ცენტრი- მედინა, სს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი –2010, სს საზღვაო ჰოსპიტალი, შპს უნიმედი კახეთი – ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- ქედის სამედიცინო ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- შუახევის სამედიცინო ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- ხულოს სამედიცინო ცენტრი, შპს ბათუმის რეფერალური საავადმყოფო, შპს უნიმედი აჭარა- ქობულეთის სამედიცინო ცენტრი, სს ქობულეთის სამედიცინო ცენტრი, შპს ონკოლოგიური ცენტრი, შპს კლინიკა ,,სალვე“;

სს ბათუმის სამშობიარო სახლი – 1.

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები –19:

შპს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი- საგიტარიუსი, შპს პარაცელსი, შპს სანიტასი, შპს კლინიკა ,,N.G.'', შპს ბათუმის №4 პოლიკლინიკა, შპს დერმაქეა, შპს ,,დეგური მმ“, შპს კანისა და ვენსნეულებათა რეგიონული ცენტრი, შპს დია+, შპს პლასტიკური ქირურგიის ცენტრი, შპს აი ვი ეფ ცენტრი (ინ ვიტრო), სამედიცინო ცენტრი -ვია-ვიტა, შპს ენდოკრინოლოგიური ცენტრი, შპს ინტერმედიკა, შპს კარდიოსერვისი, შპს ხელვაჩაურის სამედიცინო ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- ჩაქვის სამედიცინო ცენტრი, შპს ,,ჰემა 2012“.

შპს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი –1.

№	კერძო საკუთრებაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
1	ჰოსპიტალური პროფილის სამედიცინო დაწესებულება	1	1	2	3	6	4	13	14	13	13
2	ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულება	2	2	2	2	2	7	7	16	19	19
3	კერძო სტომატოლოგიური დაწესებულებები	85	89	95	107	120	98	106	106	100	109

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჰოსპიტალური საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 2015 წელს გასული წლის მაჩვენებელთან (274) შედარებით გაიზარდა და 292 შეადგინა. საქართველოს მონაცემებით ჰოსპიტალური საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 2014 წელს გაუტოლდა 313–ს (21%–ით მეტი 2013 წლის მონაცემთან შდარებით); საწოლზე დატვირთვის მაჩვენებელი 188,3, აჭარისათვის აღნიშნული მაჩვენებელი კი 2015 წლისათვის 195–ია.

საწოლთა ფონდის დატვირთვა (აჭარა, 2007-2015წწ)



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სისტემაში ერთ საწოლზე ექიმების საშუალო რაოდენობა 1,11 (გარდა ექიმ–სტომატოლოგისა), ხოლო ექთნების 1,29 (საქართველოში ექიმის საშუალო რაოდენობა 1 აღემატება), საშუალო ევროპული მაჩვენებელია ერთ საწოლზე 0,6 ექიმი. ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი (100 000 მოსახლეზე) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედგენს 385.6. საქართველოსთვის 2014 წელს ანიშნული მაჩვენებელი 568,8–ს გაუტოლდა (24,7%–ით მეტი 2013 წლის მონაცემთან შედარებით). ჯანმრთელობის მსოფლიო ოგანიზაციის ,,ჯანმრთელობა ყველასათვის“ მონაცემთა ბაზის თანახმად ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელს გლობალური ზრდის ტენდენცია ახასიათებს. საშუალო სამედიცინო პერსონალის უზრუნველყოფის მაჩვენებელი აჭარისათვის (100 000 მოსახლეზე) შეადგენს 376–ს (5%–ით მეტი 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით), საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 2003 წლიდან იკლებდა, ხოლოს 2014 წლისათვის დაფიქსიდა 21%–იანი მატება.

სამედიცინო პერსონალით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლები, აჭარა, 2000-2015 წ



ექიმების შეფარდება საშუალო სამედიცინო პერსონალთან არის 1/1,03 (საქართველოს მაჩვენებელია 1/1,3), რაც გაცილებით ნაკლებია ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულია შეფარდება 1/4.

რეგიონში ექიმების გადანაწილება არათანაბარია. ქ.ბათუმში ექიმების რაოდენობა 1231, რაც საგრძნობლად მეტია სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით.

პერსონალის განაწილება ადმინისტრაციულ/ტერიტორიული ერთეულების მიხედვით



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექიმების 13% (195) 60 წლის და მეტისაა (საქართველოს მონაცემია 15%-ზე მეტი), აჭარის მაღალმთიან და დაშორებულ რაიონებში ჭარბობს ახალგაზრდა სპეციალისტების რაოდენობა.

ექიმთა ასაკობრივი სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტის დასახელება	ექიმთა რაოდენობა სულ	მ.შ.სტომატოლოგი	60 წლის ზემოთ	60 წლის ზემოთ %
ბათუმი	1231	205	169	14
ქობულეთი	140	30	15	11
ხელვაჩაური	70	3	4	6
ქედა	33	5	2	6
შუახევი	33	0	2	6
ხულო	41	2	3	7
აჭარა	**1548**	**245**	**195**	**13**

ექიმთა ასაკობრივი სტრუქტურა (აჭარა, 2015წ)



საექიმო კადრების გადანაწილება სპეციალობების მიხედვით (2015წ.)



ექიმ–სპეციალისტთა რაოდენობა 2010–2015 წლებში, აჭარა

ექიმი სპეციალისტი	2010 წ	2011 წ	2012 წ	2013 წ	2014წ	2015წ
თერაპევტი	**78**	**77**	**105**	**90**	**108**	**84**
კარდიოლოგი/კარდიოქირურგი	**36**	**42**	**57**	**67**	**75**	**63**
ენდოკრინოლოგი	**17**	**19**	**32**	**34**	**33**	**37**
ქირურგი	**62**	**67**	**67**	**67**	**71**	**74**
ანესთეზიოლოგი/რეანიმატოლოგი	**54**	**48**	**47**	**61**	**66**	**66**
მეან–გინეკოლოგი	**118**	**125**	**127**	**132**	**138**	**138**
პედიატრი	**86**	**46**	**68**	**57**	**60**	**58**
ნევროპათოლოგი	**42**	**48**	**44**	**46**	**49**	**42**
სასწრაფო დახმარების ცენტრის ექიმი	**90**	**98**	**104**	**104**	**–**	**–**
ქ.ბათუმის სასწრაფო დახმარების ცენტრის ექიმი	**–**	**–**	**–**	**–**	**52**	**53**
სტომატოლოგი	**124**	**167**	**281**	**309**	**289**	**245**
სხვა	**553**	**670**	**608**	**598**	**604**	**688**
სულ	**1260**	**1407**	**1540**	**1565**	**1545**	**1548**

მნიშვნელოვნად დაიხვეწა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხები:

- სამინისტროში ხორციელდებოდა მოქალაქეთა ყოველდღიური მიღება;
- სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა ქ. ბათუმის მერიის, ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულთის მუნიციპალიტეტების გამგეობებთან ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამების პროექტების შემუშავებისა და მათი განხორციელების საკითხებში;
- სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების გაცნობის მიზნით შეხვედრები გაიმართა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების გამგეობებისა და საკრებულოების წარმომადგენლებთან, თემის რწმუნებულებთან, სოფლის ექიმებთან და სამედიცინო დაწესებულებების პერსონალთან. პროგრამები ასევე წარედგინა ქ. ბათუმის ჰოსპიტალურ სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა დაინტერესებულ პირებს;

- მიზნობრივი პროგრამების შესახებ მომზადდა 2 ვიდეო რგოლი, რომელიც გადაიცემოდა აჭარის ტელევიზიით. დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები და პოსტერები, რომლებიც დაურიგდა მოსახლეობას, სამედიცინო დაწესებულებებს და გამოიკრა თვალსაჩინო ადგილებზე. დაიბეჭდა საგაზეთო სტატიები, ინფორმაცია გავრცელდა სააგენტოების, ტელევიზიების (საინფორმაციო გამოშვებები, თოქ–შოუები), ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. პერიოდულად შევხვედრები იმართებოდა მოსახლეობასთან;
- გაიმართა შეხვედრები საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებთან სამინისტროს 2016-2019 წწ პრიორიტეტების, ასევე სამინისტროს 2016 წლის მიზნობრივი პროგრამების პროექტების შესახებ. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები:

- უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა აჭარის 5 მუნიციპალიტეტის 23 სოფელში, წალკისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, ასევე სასჯელაღსრულების მე-3 დაწესებულებაში, მომსახურება გაეწია – 3 200 პაციენტს;

- მემორანდუმი გაფორმდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, ბათუმის მერიასთან, ბათუმის სამშობიარო სახლთან, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ა/რ ორგანიზაციებთან.



- გამოცხადდა ტენდერი "რესპუბლიკური საავადმყოფოს" მშენებლობაზე. მრავალპროფილური საავადმყოფო გათვლილია 170 საწოლზე. ახალი საავადმყოფო აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით და პაციენტებს შესთავაზებს მაღალი ხარისხის მომსახურებას. საავადმყოფოს ასევე ექნება საუნივერსიტეტო კლინიკის დანიშნულება, სადაც სტუდენტები შეძლებენ სასწავლო პრაქტიკის გავლა. საავადმყოფოს მშენებლობა 2018 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

❖ **დონორები და პარტნიორი ორგანიზაციები**

- პოლონეთის მთავრობის, კერძოდ სილეზიის სავოევოდოს აქტიური მხარდაჭერით 2015 წელს გამოცდილების გაზიარების მიზნით ბათუმიდან პოლონეთში იმყოფებოდა 2 ექიმ-რევმატოლოგი.
- საქართველოს წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) პროექტის ფარგლებში, ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროებსშორის.



- სამინისტრომ შეთანხმებას მიაღწია თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოსთან (TIKA) შპს"ქ.ბათუმის ინფექციური პათოლოგიის,

შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის" ა კორპუსის სრულ რეაბილიტაციის თაობაზე.

VI სამინისტროს აპარატის სტრუქტურული

ქვედანაყოფების მიერ გაწეული მუშაობა

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტი

დეპარტამენტი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობდა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებით .

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

- საქმისწარმოების განყოფილება
- სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილება

დეპარტამენტში დასაქმებულია 23 თანამშრომელი, მათ შორის დეპარტამენტის უფროსი - 1, განყოფილების უფროსი - 2; მთავარი სპეციალისტი - 6; დამხმარე პერსონალი - 7, მათ შორის 5 მძღოლი და 2 დამლაგებელი.

დეპარატამენტში შემუშავებულია წლიური სამუშაო გეგმა.

თანამშრომლებს შორის განაწილებულია ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები საქმიანობის სფეროში.

საქმისწარმოების განყოფილება

საქმისწარმოების განყოფილება თავის საქმიანობას აწარმოებს საქმისწარმოების ერთიანი წესის, სახელმწიფო სტანდარტებისა და სხვა მოქმედი ნორმატივების შესაბამისად, უზრუნველყოფს:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალურიო დაცვის მინისტრის ბრძანებების გაფორმების სისწორეს და მათ შემსრულებლამდე დაყვანას;

სამინისტროში შემოსული და სამინისტროდან გასული ნებისმიერი დოკუმენტის რეგისტრაციას. რეგისტრაციისა და დოკუმენტების მიხედვით სააღრიცხვო-საცნობარო სამუშაოთა განხორციელებას. შემოსული დოკუმენტების დროული განხილვისა, განაწილებისა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენის ორგანიზაციას. დოკუმენტების შესრულების რეგულირებას;

სამინისტროში შემოსული წერილების, მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების აღრიცხვას, დასმული პრობლემების თემატურ ანალიზს;

სამინისტროს საქმეთა ნომენკლატურის შემუშავებას, საქმეთა შენახვისა და დოკუმენტური ინფორმაციის ოპერატიული გამოყენებას;

სამინისტროს კადრების აღრიცხვას, პირადი საქმეების წარმოებასა და მოხელეთა ატესტაციის ორგანიზებას. სხვა საკადრო საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ორგანიზებას;

სამინისტროს განსაკუთრებული ღირებულების და პირადი შემადგენლობის დოკუმენტების შენახვას, მათ აღრიცხვას და შესანახად გადაცემას;

სამინისტროს საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის შესახებ ანალიტიკური და სტატისტიკური მონაცემების მომზადებას.

2015 წელს საქმისწარმოების განყოფილების მიერ მიღებულია, დამუშავებულია და გაგზავნილია სხვადასხვა სახის კორესპოდენცია.

განყოფილებამ უზრუნველყო კორესპოდენციების დროულად გადაცემა სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის და საფოსტო გზავნილების გაგზავნა საქართველოს ფარგლებში.

სამინისტროში განხორციელდა შემდეგი სახის დოკუმენტბრუნვა:

შემოვიდა მოქალაქეთა ინდივიდუალური და კოლექტიური განცხადება - 7805,

სხვადასხვა კორესპოდენცია - 4520.

ზემდგომი ორგანოებიდან გადმოგზავნილია ბრძანება და განკარგულება -161.

მოხსენებითი ბარათი -520.

მომზადდა ბრძანებები საკადრო, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ საკითხებზე -492.

სულ გადაგზავნილი იქნა -9450 საფოსტო გზავნილი.

ელექტრონული პროგრამით გაგზავნილი იქნა 11 000 წერილი.

სულ სამინისტროში შემოვიდა 15 615 კორესპონდენცია.

წლის განმავლობაში სამინისტროში დოკუმენტბრუნვამ შეადგინა 26759

2. ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი

დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 ივლისის №3/ნ ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის დებულების შესაბამისად, რომლითაც დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს:

– კომპეტენციის ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

– სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების, პროგრამებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის პროექტების შემუშავება;

– ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა და შედეგების მონიტორინგი;

– სამინისტროს პროგრამების განხორციელებაზე კონტროლი;

– ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებით ვაუჩერის ფორმის, მისი გაცემისა და გამოყენების წესის პროექტის მომზადება;

– სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებიდან წარმოდგენილი პროგ-რამების განხილვა და ანალიზი;

– მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

– აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში ხელშეწყობა;

– ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების პროცესში მონაწილეობის მიღება.

– სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების პერიოდული კორექტირება და სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის შესაბამისი წინადადებიბის წარდგენა;

– კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა;

– მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებით დაინტერესებულ საჯარო და კერძო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, შესაბამისი პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში ხელშეწყობა;
–საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

- პროგრამების მართვისა და სამედიცინო მომსახურების განყოფილება
- მონიტორინგის განყოფილება

დეპარტამენტში დასაქმებულია 10 ადამიანი -1 დეპარტამენტის უფროსი 2 განყოფილების უფროსი და 7 მთავარი სპეციალისტი. დეპარატამენტი მუშაობდა დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად. მზადდებოდა ანგარიში თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა შორის განაწილებული იყო ფუნქცია/მოვალეობანი.

2015 წლის განმავლობაში სამინისტროში მოქმედი პროგრამებით ისარგებლა სულ 54 892 მოქალაქემ.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით ისარგებლა 5112 ბენეფიციარმა, თანხა-3 609 142 ლარი;

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა - 4356 პაციენტს (85%) - საქართველოს სხვა კლინიკებში კი- 756 პაციენტს (15%).

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა (1 622 559 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი - სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

გაცემულია 2567 ვაუჩერი. თანხა -1 662 152 ლარი;

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	თანხა
ბათუმი	1237	788 579
ქობულეთი	493	287 649
ხელვაჩაური	423	289 119
ქედა	155	82 281
შუახევი	130	67 114
ხულო	129	107 411
სულ	2567	1 622 152

გულის ქირურგიის ქვეპროგრამა (1 205 366 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – 18-წლის ასაკიდან მოსახლეობის (რომლებიც არ სარგებლობენ სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სხვადასხვა სამედიცინო პროგრამებით) კარდიოქირურგიული მკურნალობა, გულის დაავადებების მძიმე ფორმებით გამოწვეული ლეტალობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირება. სულ გაიცა 414 ვაუჩერი. თანხა-1 205 365 ლარი;

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	თანხა
ბათუმი	202	554 302
ქობულეთი	111	339 562
ხელვაჩაური	68	216 806
ქედა	9	12 170
შუახევი	12	49 081
ხულო	12	33 444
სულ	414	1 205 365

სახსრების ენდოპროტეზირების ქვეპროგრამა (280 630 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გაცემულია 91 ვაუჩერი. თანხა -280 630 ლარი;

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	თანხა
ბათუმი	41	131 677
ქობულეთი	20	52 686
ხელვაჩაური	21	69 415
ქედა	4	10 852
შუახევი	3	8000
ხულო	2	8000
სულ	91	280 630

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამა (501 000 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გაცემულია 2040 ვაუჩერი. თანხა-500 995 ლარი;

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	თანხა
ბათუმი	472	111 761
ქობულეთი	639	154 904
ხელვაჩაური	371	96 214
ქედა	182	43 839
შუახევი	181	46 621
ხულო	195	47 657
სულ	2040	500 995

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა (750 787 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმამდელი სამედიცინო დახმარებითა და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.

სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა 225 992 სოფლის მოსახლეს. პირველადი დახმარების მედიკამენტებზე, სადიაგნოსტიკო საშუალებებსა და შესახვევ მასალიაზე გაიხარჯა 73 079 ლარი. თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 677 522 ლარი.

სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურების ქვეპროგრამა – (263 000 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – საექიმო კადრების სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით. (მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმებისათვის – 300 ლარი, ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის – 150 ლარი).სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა 137 108 სოფლის მოსახლეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარობის სარეზერვო ფონდიდან მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური დახმარებისა და სამედიცინო მომსახურეობისათვის გამოიყო
540 093 ლარი, გაიხარჯა 537 690 ლარი, აქედან:

ა) 88 პაციენტის მკურნალობისათვის – 367 231 ლარი.
ბ) 3 პაციენტისათვის მედიკამენტის შეძენა – 20 300 ლარი.
გ) 10 ოჯახისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება – 106 575 ლარი.
დ) 2 გარდაცვლილი მოქალაქის გადმოსვენება საზღვარგარეთიდან – 19 724 ლარი.
ე) ქობულეთში ხანძრის შედეგად დაზარალებულთა ტრანსპორტირებისათვის - 570 ლარი.
ვ)ქ.თბილისში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვებისა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ჯარისკაცების შვილების რეაბილიტაციისათვის - 23 290 ლარი.

3. სოციალური დაცვის დეპარტამენტი

სოციალური დაცვის დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“ მოთხოვნების შესაბამისად.

სოციალური დაცვის დეპარტამენტში დასაქმებულია 4 თანამშრომელი, 1 დეპარტამენტის უფროსი და 3 მთავარი სპეციალისტი. დეპარტამენტის საქმიანობა მიმდინარეობდა წლიური სამუშაო გეგმისა და თანამშრომლების ფუნქციების და მოვალეობების შესაბამისად.

2015 წელს დეპარტამენტში შემოვიდა 5 000 განცხადება და წერილი, მათ შორის 32 განცხადება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ქულების გადამოწმების თაობაზე; 8 განცხადება - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების და პენსიის დანიშვნის თაობაზე, 20 - მატერიალური დახმარების თხოვნით, 52 განცხადება საცხოვრისით დაკმაყოფილების შესახებ. საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, ქ. ბათუმის მერიიდან და მუნიციპლიტეტების გამგეობებიდან მიღებულია 60 წერილი.

სოციალური დაცვის დეპარტამენტი ახორციელებდა სოციალური დაცვის პროგრამებში ბენეფიციართა ჩართვას და მონიტორინგს.

პროგრამა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამა ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/ რეაბილიტაცია - მომსახურება გაეწია 736 ბავშვს (ქ. ბათუმი - 333, ქობულეთი - 141, ხელვაჩაური - 168, ქედა - 20, შუახევი - 31, ხულო - 43). გაიცა 2 653 ვაუჩერი, მათ შორის სხვადასხვა მიზეზებით გაუქმდა 69 ვაუჩერი. დაფინანსდა რეაბილიტაციის 2 584 კურსი.

მიმწოდებელი	ვაუჩერები ს	თანხა
ასოციაცია გენეზისი	189	44 099
აბილიტაციის და	69	16 011

განვითარების ცენტრი		
ასოციაცია თანა	176	41 008
სანიტასი	368	85 865
სანნი	48	11 200
სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრი	752	175 300
უნიმედი აჭარა ჩაქვი	982	229 130

ქვეპროგრამა სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია - გაიცა 625 ვაუჩერი, მათ შორის სხვადასხვა მიზეზებით გაუქმდა 18 ვაუჩერი. დაფინანსდა რეაბილიტაციის 607 კურსი (ქ. ბათუმი - 127, ქობულეთი - 73, ხელვაჩაური - 76, ქედა - 54, შუახევი - 31, ხულო - 246).

მიმწოდებელი	ვაუჩერებს	თანხა
ასოციაცია გენეზისი	23	4 094
ვიტა	341	60 698
საზღვაო ჰოსპიტალი	17	2 986
სანიტასი	5	890
სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრი	175	31 150
უნიმედი აჭარა ჩაქვი	46	8 188

ქვეპროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია - მომსახურება გაეწია 19 ბენეფიციარს (ქობულეთი - 3, შუახევი- 4, ქედა -3, ხულო - 9). დაფინანსდა 26 კურსი.

მიმწოდებელი	ვაუჩერებს	თანხა
ასოციაცია თანა	4	1 800
სანიტასი	22	9 900

პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადასაადგილებელი საშუალებით უზრუნველყოფა - გაიცა 226 ვაუჩერი, სამინისტროში დაბრუნებული იქნა 6 ვაუჩერი, გაცემულია 220 სავარძელ-ეტლი. ქ. ბათუმი - 80, ქობულეთი - 54, ხელვაჩაური - 48, ქედა - 9, შუახევი -10, ხულო - 19.

მიმწოდებელი	ვაუჩერებს	თანხა
შპს ბათუმი მედიკალი	23	6 900
შპს ბიოიმპიანტ ჯორჯია	123	36 900
შპს მ-ასტრა	7	2 100
შპს სტარმედი	67	20 100

ქვეპროგრამა სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა - გაიცა 323 ვაუჩერი, სხვადასხვა მიზეზით გაუქმდა 25 ვაუჩერი. 298 ბენეფიციარზე გაცემულია 300 სმენის აპარატი. ქ. ბათუმი - 142, ქობულეთი - 38, ხელვაჩაური - 69, ქედა -13, შუახევი - 16, ხულო -20.

ქვეპროგრამა უსინათლო მოქალაქეების უზრუნველყოფა უსინათლოთა „თეთრი“ ხელჯოხებით - გაიცა 13 ხელჯოხი ქ. ბათუმი - 7, ქობულეთი -6.

მიმწოდებელი	ვაუჩერებს	თანხა
შპს ბიოიმპიანტ ჯორჯია	5	250
შპს სტარმედი	8	400

პროგრამა მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამა 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 46 მოქალაქეს გადაეცა ერთჯერადი დახმარება 1 000 ლარის ოდენობით, მათ შორის ქ. ბათუმში - 9, ქობულეთში - 7, ხელვაჩაურში - 5, ქედაში - 7, შუახევში - 4, ხულოში - 14.

ქვეპროგრამა ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება - მატერიალური დახმარება გაიცა 67 ოჯახზე. ქ. ბათუმი - 28, ქობულეთი - 15, ხელვაჩაური - 17, ქედა -1, ხულო - 6.

ქვეპროგრამა 2008 წლის რუსული აგრესიისა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა ოჯახების დახმარება - დაღუპული 19 მეომრის დედებსა და მეუღლეებს (სულ 22 პირს) და ოჯახებს გადაეცა მატერიალური დახმარება.

პროგრამა მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა - პროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა 22 ბენეფიციარმა. წლის ბოლოსათვის თავშესაფარში იმყოფებოდა 20 ბენეფიციარი - 9 დედა და 11 ბავშვი.

დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარდა პროგრამების მონიტორინგი 2014 წლის სოციალური დაცვის პროგრამების ინსპექტირების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად: ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაციის ქვეპროგრამა - აპრილი, სექტემბერი, დეკემბერი; სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა- აპრილი, სექტემბერი, დეკემბერი; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ქვეპროგრამა - ნოემბერი; მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - ივნისი, დეკემბერი.

დეპარტამენტი მონაწილეობდა სამინისტროს სტრატეგიული გეგმის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში; სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავებაში; 2016 წლის სოციალური დაცვის პროგრამების პროექტების მომზადებაში.

სოციალური დაცვის დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მოქალაქეთა რეგისტრაციის, სოციალური დახმარების მიღების, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების და საპენსიო უზრუნველყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის საკითხებში,

დეპარტამენტის თანამშრომლებს ჰქონდათ სისტემატიური კონტაქტი სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალთან.

დეპარტამენტი თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებისათვის“, „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“, საზოგადოებრივი მხარდაჭერისა და ეროვნული თვითგანვითარების ქართულ ასოციაცია „გენეზისთან“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრ ”თანასთან”, „თანადგომასთან”, ”სთეფ ფორვარდთან”, „არტვეისთან“.

4. სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტი

დეპარტამენტი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 08 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებით.

დეპარტამენტში დასაქმებულია 3 თანამშრომელი, მათ შორის დეპარტამენტის უფროსი - 1, მთავარი სპეციალისტი -2;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრეთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და სოციალური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვას და შესაბამის რეაგირებას. პაციენტსა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს შორის წარმოშობილი დავის განხილვას, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში კონფლიქტების არსებობის შემთხვევაში მედიატორის ფუნქციის განხორციელებას. უზრუნველყოფს მოსახლეობის სისტემატურ ინფორმირებას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში არსებული სამართლებრივი აქტებით მინიჭებული შეღავათებისა და პრივილეგიების შესახებ. კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საჯარო და კერძო დაწესებულებებთან ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულლ სხვა უფლებამოსილებას.

2015 წლის საანგარიშო პერიოდში სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტმა რეაგირება განახორციელა 2411 მომართვაზე

მომართვა: სულ **2411**

მათ შორის:

სატელეფონო შეტყობინება ,,ცხელ ხაზზე“-**1304**

მიღება-**1022**

წერილი-კორესპოდენცია-**85**

აქედან:

სამედიცინო საკითხებზე -1379

სოციალურ საკითხებზე-1016

სხვადასხვა საკითხებზე-16

შესაბამისად:

2411 მომართვა კონსულტირებული და რეაგირებულია.

85 წერილი-კორესპონდენცია პასუხგაცემული და ჩამოწერილია.

51 მომართვა, ჩვენი რეკომენდაციის შესაბამისად შემდგომი რეაგირებისათვის გაიგზავნა სსიპ ,,სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოში“

ქ. ბათუმისა და მუნიციპალიტეტების მოსახლეობას დაურიგდა სამედიცინო და სოციალური დაცვის მოქმედი პროგრამების შესახებ, ბუკლეტები მათთვის საჭირო ინფორმაციითა და ,,ცხელი ხაზი“–ს მითითებით.

პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით სამინისტროს მედიაციის დეპარტამენტი, ქ. ბათუმში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტთა ნაკადების მართვასთან დაკავშირებით ამ დაწესებულებების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ახორციელებდა სისტემატურ დაკვირვებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო მედიაციის დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობდა სახალხო დამცველის ქ. ბათუმის ოფისის წარმომადგენლობასთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

5. იურიდიული დეპარტამენტი

დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 ივლისის №3/ნ ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დებულების შესაბამისად, რომლითაც დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს:

- სამინისტროს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება და მათი სამართლებრივი ექსპერტიზა;
- სამინისტროს მიერ გამოცემული ინდივიდუალური და ნორმატიული ხასიათის სამართლებრივი აქტების შესაბამისობის დადგენა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან;
- კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებიდან, სამინისტროს სისტემის დაწესებულებებიდან, სხვადასხვა უწყებებიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტში შემოსული კორესპოდენციის (წერილი, განცხადება, მიმართვა, საჩივარი და სხვა) განხილვა და შესაბამისი პროექტების მომზადება;
- სამინისტროს ხელმძღვანელობის ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების თაობაზე;
- სამინისტროს წარმომადგენლობა ყველა ინსტანციის სასამართლოში.
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

დეპარტამენტში დასაქმებული იყო 3 ადამიანი - დეპარტამენტის უფროსი და 2 მთავარი სპეციალისტი. მინისტრის ბრძანებით დეპარტამენტის ერთერთი თანამშრომელი დანიშნულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად.

დეპარატამენტი მუშაობდა დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად. მზადდებოდაანგარიში თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა შორის განაწილებული იყო ფუნქცია/მოვალეობანი.

დეპარტამენტმა სამინისტროს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებთან ერთად მოამზდა სამინისტროს 2015 წლის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებისა და მათ განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისი წესებისა და ხელშეკრულებების პროექტები. საჭიროებისამებრ, ამზადებდა შესაბამის

ცვლილებების პროექტებს, ასევე მონაწილეობდა სამინისტროს 2016 წლის პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულების წესებისა და ხელშეკრულებების პროექტების შემუშავებაში;

სამართლებრივი ექსპერტიზა გაიარა სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსა და აჭარის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2015-2016 წწ პროგრამებისა და შესაბამისი წესების პროექტებმა.

- მომზადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

დეპარტამენტში შემოსულ განცხადება-საჩივრებთან დაკავშირებით უზრუნველყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ორგანიზება და შესაბამისი აქტების პროექტების მომზადება.

მომზადდა აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებების პროექტები (111) - გარკვეული კატეგორიის მოქალაქეების სამედიცინო და სოციალური დახმარების გაწევის მიზნით. სამართლებრივი ექსპერტიზა გაიარა, ასევე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მატერიალური დახმარების მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებების პროექტმა.

მომზადდა მინისტრის 198 ბრძანების პროექტი, აქედან 12 საკადრო, ხოლო 93 ორგანიზაციული ხასიათის. სამართლებრივი ექსპერტიზა გაიარა 340-მა ადმინისტრაციულმა ბრძანების პროექტმა.

მომზადდა შრომითი ხელშეკრულებების პროექტი (9 პროექტი).

მომზადდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების პროექტები.

უზრუნველყო სამინისტროში საჯარო მოხელეთა და საჯარო სკოლის ექიმების ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების ორგანიზება; შესაბამისად, მომზადდა სათანადო სამართლებრივი აქტების პროექტები. -

2015 წელს სამინისტროში შემოსული იქნა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 19 განცხადება, რომლებზედაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში განხორციელდა შესაბამისი რეაგირება. 2015 წლის 10 დეკემბრის ანგარიში წარედგინათ საქართველოს პრეზიტენტის, საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრსა და სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს. პროაქტიულად გამოქვეყნებისათვის მომზადდა შესაბამისი ინფორმაცია.

დეპარტამენტში შემოსულ 300-მდე წერილსა და 270-მდე განცხადებასთან დაკავშირებით მომზადდა შესაბამისი პასუხების პროექტები.

მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზა გაიარა სამინისტროს სახელით გასაფორმებელმა ხელშეკრულებების პროექტებმა.

სამართლებრივი ექსპერტიზა გაიარა სამინისტროს სტრუქტურუყლი ქვედანაყოფების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და დასაქმების სააგენტოს მიერ შემუშავებულმა სხვადასხვა აქტებმა.

შესაბამისი კონსულტაცია გაეწიათა სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებს, სამედიცინო დაწესებულებებისა და მუნიციპალიტეტების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის წარმომადგენლებს, ასევე დაინტერესებულ სხვადასხვა ფიზიკურ და იურდიულ პირებს.

ხდებოდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მიღებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განხილვა, სამინისტროს საერთო ქსელში განთავსება და აღნიშნულის შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება.

მონაწილეობას იღებდა სამინისტროში არსებულ კომისიების მუშაობაში, ასევე მონაწელეობდა სამინისტროს სახელით სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან დაგეგმილ შეხვედრებში, სამინისტროში მოქმედი სხვადასხვა კომისიების მუშაობაში;

დეპარტამენტი ასევე ასრულებდა სამინისტროს ხელმძღვანელობის ცალკეულ დავალებებს.

6. ბიუჯეტის დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი

დეპარტამენტში თავის საქმიანობას ახორციელებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“ მოთხოვნათა შესაბამისობაში.

დეპარტამენტში დასაქმებულია 6 თანამშრომელი. დეპარტამენტის უფროსი - 1 მთავარი სპეციალისტი - 5.

დეპარტამენტში შემუშავებულია წლიური სამუშაო გეგმა, ასევე მზადდება შესაბამისი ანგარიშები თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ.

თანამშრომლებს შორის განაწილებულია ფუნქცია მოვალეობები და პასუხისმგებლობები საქმიანობის სფეროში.

დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობაა ბიუჯეტის დაგეგმვა, ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტების მომზადება. საბიუჯეტო ხარჯების თვიური და კვარტალური განწერა, სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფინანსურად განწერა, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ იურიდიულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

კანონის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XVI თავის, 98-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე დადგენილ ვადებში მომზადდა სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადი. წლის განმავლობაში მომზადდა ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტები, განხორციელდა დამტკიცებული ბიუჯეტის თვიური და კვარტალური განწერა, ბიუჯეტის ხარჯების ასახვა გეგმების, ხელშეკრულებების, ვალდებულებების, მოთხოვნების, სპეციალიზირებულ ბუღალტრულ პროგრამაში. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე მომზადდა სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტი.

2015 წლის განმავლობაში განხორციელდა 588 შესყიდვა და გაფორმებულია ხელშეკრულებები.

მათ შორის:

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - 12

გამარტივებული შესყიდვა - 315

არასახელწიფო შესყიდვა - 261

აქედან:

გულის ქირურგიის - 57

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება - 98

სახსრების ენდოპროთეზირება - 15

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა - 25

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია - 1

ბავშვთა ფსიქოსომატური სამედიცინო მომსახურებაზე - 55

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის მომსახურებაზე - 1

სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია - 7

სხვა - 2

გაფორმებულია შეთანხმებები ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კვარტალური ანგარიშები დადგენილ ვადებში წარდგენილია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. კონსოლიდირებული ტენდერისა და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულებები, ასევე ხელშეკრულებასთან გათანაბრებული დოკუმენტები დადებიდან 10 დღის ვადაში სააგენტოს წარედგინა სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით. ასევე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ფაქტობრივი გადახდების თაობაზე ინფორმაციის წარდგენა დადგენილ ვადებში. *(ელექტრონული სისტემის მეშვეობით)*

დეპარტამენტი მონაწილეობდა სამინისტროს სტრატეგიული გეგმის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში; სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავებაში; 2016 წლის სოციალური დაცვის პროგრამების პროექტების მომზადებაში.

დეპარტამენტში შემოსული ყველა კორესპონდენცია განხილულია დადგენილ ვადებში. მომზადებულია მათი პასუხები.

7. დევნილთა საქმეების დეპარტამენტი

2015 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, დევნილთა საქმეების დეპარტამენტს მომართა 1187 დევნილმა პირმა. შემოსული განცხადებები ფინანსურ, სავალდებულო რეგისტრირებასა და სხვა სოციალურ საკითხებს უკავშირდება. ასევე, ვიზიტი განახორციელა და მათთვის საჭირო კონსულტაციები მიიღო უკრაინის 49 მოქალაქემ. აქ უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტის შუამდგომლობით, უსახსრებოდ დარჩენილი უკრაინის 4 მოქალაქის სამშობლოში გამგზავრება მიგრაციის ორგანიზაციამ უზრუნველყო, ხოლო თაღლითობის მსხვერპლი უკრაინელი მოქალაქე ტატიანა ნესტერენკო მიუსაფართა სახლში იქნა მოთავსებული.

გასულ წელთან შედარებით, ავტონომიურ რესპუბლიკაში დევნილთა რაოდენობა 321 ერთეულით არის გაზრდილი და მთლიანობაში 6737 სული შეადგინა:

ბათუმი – 4239 სული (1411ოჯახი)

ქობულეთი – 1667 სული (583 ოჯახი)

ხელვაჩაური 828 სული (307 ოჯახი)

ქედა – 3 სული

შემოსული განცხადებების საფუძველზე, დეპარტამენტის თანამშრომლები პერიოდულად ახორციელებენ შეხვედრებს დევნილ მოსახლეობასთან როგორც კომპაქტურ, ასევე კერძო განსახლების ადგილებში. უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებების უმრავლესობა სოციალური ხასიათისაა და ადგილზე წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში დახმარებას მოითხოვენ. დეპარტამენტი მაქსიმალურად ცდილობს შესაძლებლობის ფარგლებში საკითხის მოგვარებას, ანაც შესაბამის უწყებებთან შუამდგომლობების დაყენებას. მთლიანობაში, მიმდინარე წლის განმავლობაში, აჭარის რეგიონში მცხოვრებმა 100–ზე მეტმა დევნილმა ოჯახმა მიიღო როგორც ერთჯერადი, ასევე საცხოვრებლის ქირისათვისა და ოპერაციის საჭიროებისათვის დასაფინანსებელი თანხები.

მიმდინარეობს სარგებლობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში დარეგისტრირების პროცედურები. ამ ეტაპზე ბინები დაუკანონდათ დაბა ჩაქვში მდებარე ყოფილ ქართულ საჯარო სკოლაში მცხოვრებ 30–მდე დევნილ ოჯახს და სამომავლოდ, პროცესში სხვა ობიექტებიც ჩაერთვება.

დევნილი – ალდონა ბასლანძე და მისი ორი მცირეწლოვანი შვილი (მათ შორის ერთი შშმპ, მეორე ეპილეფსიით დაავადებული) „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემო“–ში პროექტის შესაბამისად, საცხოვრებლით იქნა უზრუნველყოფილი. სამომავლოდ, მისი ოჯახის „დევნილთა საცხოვრებლების გრძელვადიანი პროგრამით“ დაკმაყოფილების შემთხვევაში, საცხოვრებელი საკუთრებაში გადაეცემა და სოციალურ საცხოვრისში გამოთა–ვისუფლებული ფართით სხვა დევნილი ოჯახი ისარგებლებს. დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე, სათნოების სახლში მოთავსდა თვითმოვლის უნარს მოკლებული მარტოხელა პენსიონერი თინა ბიგვავა. ასევე, ბათუმის მიუსაფართა სახლში გადაყვანილ იქნა დევნილი ნონა ოგანესიანი, რომელსაც პრობლემები წარმოექმნა საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებით (გირაოთი გაცემულ ბინას ვეღარ იბრუნებს). უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური ხასიათის პრობლემატური საკითხების წარმოქმნის შემთხვევაში, დევნილ მოსახლეობას იურიდიულ და საადვოკატო მომსახურებას დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე კომპანია „ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ ფინანსური ანაზღაურების გარეშე უწევს.

სხვადასხვა ხასიათის სარემონტო სამუშაოები გატარდა ორგანიზებული სექტორის რიგ ობიექტებზე. დაბა ჩაქვში არსებულ ყოფილ საჯარო სკოლაში დასრულდა გარე და შიგა

საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა იქ მაცხოვრებლებისათვის. ყოფილი „ნარკოლოგიური ცენტრის“ შენობაში მთლიანად გაიწმინდა სარდაფი, შეიცვალა საკანალიზაციო მილები და მოგვარდა ბუნებრივი აირის პრობლემა. სამუშაოები ტენდერში შერჩეულმა კომპანიებმა განახორციელეს, რომლებიც იღებენ ვალდებულებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში აწარმოონ მონიტორინგი შესრულებულ სამუშაოებზე. აღსანიშნავია ასევე, რომ დაგეგმილია ყოფილ „ნარკოლოგიურ ცენტრთან“ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

გამათბობლები დაუმონტაჟდა აფხაზეთის ქუჩაზე მცხოვრებ ოჯახებს, თუმცა ბუნებრივი აირის მიწოდება შეფერხებულ იყო, რაც გარკვეულ ფინანსებს უკავშირდებოდა. კომპანიისათვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წერილობით ეთხოვა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას აღნიშნულ საკითხში დახმარების აღმოჩენა, რაც უზრუნველყო მერიის შესაბამისმა სამსახურმა და დღეისათვის მცხოვრებლები გაზით სარგებლობენ. გაზიფიცირების საკითხი მოგვარდა „ელ.მექანიკური ქარხნის დამხმარე შენობაში“, სადაც ასევე დამონტაჟდება გამათბობლები. დაზუსტდა ოჯახების მონაცემები და საცხოვრებლების მიხედვით განხორციელდა ანკეტირება.

ბათუმის მერიას დაგეგმილი აქვს ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი პროექტების განხორციელება „ბ.ნ.ქ.“–ს დასახლებაში დევნილთა საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე. საჭირო საქმიანობის წარმმართვის მიზნით, მერიამ შუამდგომლობით მიმართა ქონების მართვის სააგენტოს გარკვეული ტერიტორიის (დაახლოებით სამი ჰა) მის ბალანსზე გადაცემის მიზნით. დეპარტამენტისა და სამინისტროს თანამშრომლებთან შეხვედრისას მერიის წარმომადგენლებმა აღინიშნეს, რომ დასახული პროექტების განხორციელება (სპორტული მოედანი, სავაჭრო თუ სხვადასხვა საზოგა–დოებრივი დანიშნულების ობიექტები) მიმართულია იქ მაცხოვრებელი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლებთან ერთად, დეპარტამენტის თანამშრომლები რამდენიმე დღის განმავლობაში ახორციელებდნენ შეხვედრებს რეგიონში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობასთან და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ეცნობოდნენ საყოფაცხოვრებო პირობებსა და სოციალურ მდგომარეობას. შეირჩა განსაკუთრებით მძიმე პირობებში მყოფი ოჯახები, რომლებზეც ზემოხსენებული ორგანიზაციის მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარებები გაიცა. ამასთან, წარმომად–გენლობის ხელმძღვანელთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ სამომავლოდაც განხორციელდება ანალოგიური ღონისძიებები.

8. სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტი

სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტი, თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების," ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების ზოგადი წესის" თაობაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N-5 დადგენილებისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე. დეპარტამენტში დასაქმებული იყო 5 ადამიანი - დეპარტამენტის უფროსი და 4 მთავარი სპეციალისტი. დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა შორის განაწილებული იყო ფუნქცია/მოვალეობანი.

დეპარატამენტი ყოველკვარტალურად მზადდებოდა ანგარიში თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, დეპარტამენტს მომართა 900–მდე სტიქიითა და ხანძრით დაზარალებულმა ოჯახმა. შემოსულია 618 განცხადება, რომელთა რეაგირების მიზნით მომზადდა საპასუხო წერილების პროექტები.

დეპარტამენტის აქტივობები:

- მომზადებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2 სამართლებრივი აქტის პროექტი.

- მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შექმნილ ,,ეკომიგრანტთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მომზადებისა და ,,სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახთა განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიების სხდომებში.

- ითანამშრომლა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ეკომიგრაციის საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.
- დეპარტამენტის ჩართულობით შეფასებული იქნა 2015 წლის ნოემბრის თვეში ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოსული უხვი ნალექის შედეგად 3 329 814 (სამი მილიონ სამასოცდაცხრა ათას რვაასთოთხმეტი) ლარის ფარგლებში რეგიონზე მიყენებული

ზარალი და მის სალიკვიდაციოდ მომზადებული იქნა შუამდგომლობის პროექტი საქართველოს მთავრობის წინაშე.

• შემუშავებული იქნა პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივი ხარჯვის მონიტორინგთან დაკავშირებით.

• მონაწილეობას იღებდა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების, ლტოლვილთა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მიერ, ხელვაჩაურისა და ხულოს მუნიციპალიტეტში ეკომიგრანტი ოჯახებისათვის განკუთვნილი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობის დათვალიერებისა და შეფასების მიზნით განხორციელებულ ერთობლივ ვიზიტში.

• რეგულარულად აწყობდა სამუშაო შეხვედრებს თვითმმართეულ ერთეულებში ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 13 თებერვლის N-5 დადგენილების გაცნობისა და სხვადასხვა საკითხებში კონსულტაციის გაცემის მიზნით.

• საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ერთად ჩართული იყო 18 ეკომიგრანტი ოჯახის მონიტორინგის პროცესში, რომელთა განსახლების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო

ამავე სამინისტროს „სტიქიური მოვლენების შედეგად გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიამ.“

• სამთავრობო კომისიის მიერ შექმნილ მუშა ჯგუფთან ერთად, ახორციელებდა სტიქიით დაზარალებული ოჯახების მონიტორინგს ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

• მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 5 დეკემბრის N407 ბრძანებით შექმნილ ,,სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქეთა მიერ თვითნებურად დაკავების ფაქტების შემსწავლელ შერეულ სამთავრობო კომისიის“ მუშაობაში.

• მჭიდროდ თანამშრომლობდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გეოლოგიურ სამსახურთან, სტიქიით დაზიანებული მოსახლეობისათვის ეფექტური და მიზნობრივი დახმარების გაწევისათვის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების მიზნით.

• მომზადებული იქნა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის 20 სხდომა, რომლის სარეკომენდაციო გადაწყვეტილების საფუძველზე სტიქიისა და ხანძრის შედეგად 604 დაზარალებულ ოჯახს 757 744.8 ლარის ფარგლებში გაეწია ფინანსური დახმარება ქირისა და საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია/მშენებლობის მიზნით. 38 ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა გადაეცა საცხოვრებელი ფართებით, კერძოდ 17 ოჯახს შვეიცარიის განვითარების ფონდის ფარგლებში შეესყიდა საცხოვრებელი ფართი, 23 ოჯახს გადაეცა ბინები ბათუმსა ქედის მუნიციპალიტეტში არსებულ ცოციალურ სახლებში

VIII სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაწეული მუშაობა

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ 2015 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ

ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები მოიცავს - გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას, ვაქცინოპროფილაქტიკის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ანტირაბიულ ღონისძიებათა ზედამხედველობასა და ხელშეწყობას, მალარიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, სარისკო ქცევებისა და დაავადებათა პრევენციის საკითხებზე მოსახლეობაში საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიების ორგანიზებას, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობასა და დამხმარე ზედამხედველობას ვაქცინოპროფილაქტიკისა და გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობის საკითხებზე, სამედიცინო პერსონალის ინსტრუქტაჟსა და სწავლებას ინფექციური კონტროლის საკითხებზე.

ცენტრის ნაერთი ბიუჯეტი 2015 წლისათვის შეადგენდა 915 138 ლარს, მათ შორის

381 041 ლარი – ქვეპროგრამის ,,დაავადებათა პრევენცია და პროფილქტიკა“ ბიუჯეტი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ნაერთი ბიუჯეტი 2015 წლისათვის

პროგრამა/ღონისძიება	ბიუჯეტი(ლარი)	
	2015 წლის გეგმა	საკასო ხარჯი
სულ ასიგნებები	**915 138**	**904 032**
აპარატის ხარჯები	**514 957**	**513 715**
ქვეპროგრამა–დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა	**381 041**	**373 092**
ღონისძიება–**ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციიის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა**	**69 468**	**67 269**
ღონისძიება– **მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში**	110 087	110 087
ღონისძიება– **c ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა**	91 056	89 166
ღონისძიება– **ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში (სამიზნე ჯგუფი)**	77 333	76 190
ღონისძიება– **კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში**	26 888	24 347
ღონისძიება– **სმენის სკრინიგი ახალშობილებში**	6 210	6 033
ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა	19 140	17 225

2015 წელს ეპიდზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში მოექცა გადამდებ დაავადებათა 30 695 შემთხვევა, რაც 38%–ით მეტია 2014 წლის მონაცემებთან შედარებით (2014წ– 22 212).

გადამდებ დაავადებათა ავადობის დინამიკა
აჭარა, 2005 წ–2015წ



სულ აღრიცხული შემთხვევებიდან ქ.ბათუმში დარეგისტრირდა -16474, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში-4663 შემთხვევა, ქობულეთის მუნიციპალიტეტში –6986, ქედის მუნიციპალიტეტში - 759, შუახევის მუნიციპალიტეტში - 987, ხულოს მუნიციპალიტეტში – 826.

შემთხვევათა და კვლევათა განაწილება ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, აჭარა, 2015 წ

ადმინისტრაციულ/ ტერიტორიული ერთეული	რეგისტრირებულ შემთხვევათა საერთო (რ/ბა)		მ.შ. სასწრაფო შეტყობინება იქნა მიღებული შემთხვევაზე (რ/ბა)		ეპიდკველევას დაექვემდებარა (რ/ბა, ცოფის რისკის მქონე ექსპოზიციის ჩათვლით)	
	რ/ბა	% საერთო რ/ბიდან	რ/ბა	% მ.შ.	რ/ბა	% მ.შ.
ბათუმი	16474	53	1991	12	901	45
ქობულეთი	6986	23	938	13	355	38
ხელვაჩაური	4663	15	663	14	271	41
ქედა	759	3	103	13	17	17
შუახევი	987	3	66	6	25	38
ხულო	826	3	85	10	17	20
აჭარა	30695		3846	12	1586	41

გადამდებ დაავადებათა შემთხვევების ხვედრითი წილი 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფში - შეადგენს საერთო რაოდენობის 51%, რაც შეესაბამება 15507 შემთხვევას.

ინფექციურ დაავადებათა ზოგადი პრევალენტობა აჭარისათვის შეადგენს 7680–ს. აჭარის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია მაჩვენებელი ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმში. აჭარის საშუალო მაჩვენებელის ტოლია ხელვაჩაურში, ხოლო დაბალია - ქედის,ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში.

ინფექციურ დაავადებათა ზოგადი პრევალენტობა, აჭარა, 2015 წელი



ინფექციის წყაროს ან მტარებლობის იდენტიფიკაციის, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში დიაგნოსტიკის მიზნით ჩატარდა ლაბორატორიული სკრინინგი ან სკრინინგისათვის ადექვატური ნიმუშის აღება (მონაწილეობა) და რეფერალი, ამდენად ლაბორატორიული სკრინინგით მოცული იყო, როგორც კონტაქტირებული, ასევე დაავადებული პირები. ინფექციური კონტროლის ღონისძიებები პოსტექსპოზიციური პროფილაქტიკისათვის ძირითადად ანტიბიოტიკოპროფილაქტიკა.

- **ანტირაბიული ღონისძიებები**

მოსახლეობის ანტირაბიული მომსახურების საკითხში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის პრიორიტეტია რესპუბლიკაში ცოფის დაავადების გავრცელების მხრივ შექმნილი სიტუაციური ანალიზი, ანტირაბიული მომსახურების მონიტორინგი, იმუნობიოლოგიური პრეპარატებით მომარაგების მონიტორინგი, ანტირაბიული კაბინეტების ფუნქციონირების ხელშეწყობა, ანტირაბიულ მომსახურებაზე დასაქმებული სამედიცინო პერსონალის ინსტრუქტაჟი.

2015 წელს ანტირაბიული დახმარებისათვის სამედიცინო დაწესებულებებს მიმართა 3483 პაციენტმა, რაც 11%–ით ნაკლებია 2014 წლის იმავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით (3930).

ანტირაბიული დახმარებისათვის პაციენტთა მომართვიანობა
აჭარა 2002-2015 წლებში



ანტირაბიული ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 863 (27,9%) პაციენტს, არასრული 2229 (72,%), ვაქცინაცია დაასრულა დაზარალებულთა 88,71% (3092), მკურნალობა შეწყვიტა 94 (2,69%). კომბინირებული (იმუნოგლობულინი+ვაქცინა) მკურნალობა დასჭირდა 994 პაციენტს, მომართულთა 28,5%-ს.

ანტირაბიული კომპონენტის ფაგლებში გაწული მომსაურეობა, 2013–2015 წწ აჭარა

პერიოდი	მომართულთა რაოდენობა	ვაქცინაცია დასრულა	ცენტრში შემოსული შეტყობინება			ვიზიტი ვერაში	ინფორმაცია ვეტსამსახურში	კომუნიკაცია ვეტსამსურში
			სულ	მ.შ.შეწყვეტი ლი	ცოფისკერა /კლ/ლაბ/			
2013 წ	**3294**	**2870**	**787**	**761**	**26**	**153**	**1584**	**397**
2014 წ	**3930**	**3557**	**984**	**937**	**47**	**196**	**1984**	**384**
2015 წ	**3483**	**3092**	**897**	**883**	**14**	**178**	**1594**	**359**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 537 საკომუნიკაციო ვიზიტი. ცოფზე საეჭვო კერაში 359, ვეტერინარულ სამსახურებში 178. კერაში ვიზიტისას გამოვლიდნენ ის პირებიც, რომლებიც საჭიროებდნენ სასწრაფო პოსტექსპოზიციურ პროფილაქტიკურ მკურნალობას. ანტირაბიული დახმარებისათვის მომართული ყველა პაციენტისათვის მომზადდა და გადაეცათ ანტირაბიული აცრების სამახსოვრო ბარათი.

ცენტრის სპეციალისტების მიერ ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი დაზარალებულთა აღრიცხვის სრულყოფილებასა და სასწრაფო შეტყობინების დროულობაზე, პაციენტთა ვაქცინაციის სტატუსსა და ანტირაბიული მედიკამენტების მიღება-ხარჯვის სისწორეზე, ასევე მედიკამენტების შენახვის - ”ცივი ჯაჭვის” პირობებზე.

იმუნიზაციის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფლება-მოვალეობებში განისაზღვრება ასაცრელი და სხვა სახარჯი მასალის ლოჯისტიკაზე ზედამხედველობა, მიღება-ხარჯვის მონიტორინგი, ”ცივი ჯაჭვის” მონიტორინგი, ვაქცინოპროფილაქტიკის მართვის ხელშეწყობა.

ამ მიზნით ცენტრმა მიიღო და ამცრელი უბნების (ფიზიკური/იურიდიული პირები) დონეზე გასცა ასაცრელი და სხვა სახარჯი მასალა, განახორციელა - “ცივი ჯაჭვის” ინვენტარიზაცია, ამცრელი უბნების დონეზე დამხმარე ზედამხედველობა და მონიტორინგი, ასევე ასაცრელი მასალის ხარჯვის მონიტორინგი.

2015 წლის მონაცემებით იმუნიზაციის სამიზნე კონტინგენტის მოცვის მაჩვენებლები სხვადასხვა ანტიგენის მიმართ დიფერენცირებულია ქალაქ ბათუმისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

იმუნიზაციის 2015 წლის შედეგები ცალკეული ანტიგენისა და ადმინისტარციულ/ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით

ანტიგენი	**ადმინისტრაციულ/ტერიტორიული ერთეული**						
	ბათუმი	ქობულეთი	ხელვაჩური	ქედა	შუახევი	ხულო	**აჭარა**
დიფტერიის კომპ.3მე–დოზა	96	90	92	98	92	96	**94**
წწყ-1	99	90	96	97	96	98	**97**
დყტ-R1	94	96	100	98	97	100	**97**

დტ	89	88	98	99	90	81	**91**
ტდ	68	88	97	94	84	91	**82**
ბცჟ	95	95		100	100	100	**95**
ოპვ-3	96	89	92	99	92	99	**94**
ოპვ-4	86	87	97	100	93	95	**90**
ოპვ-5	87	88	98	97	96	98	**91**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ ჩატარდა- ვაქცინოპროფილაქტიკის, ეპიდზედამხედველობის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ხარისხის სრულყოფის, სახელმწიფო პროგრამების ეპიდზედამხედველობითი მხარდაჭერის, სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ქვეპროგრამის ,,დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ ფაგლებში ღონისძიებათა შესრულების 1066 მონიტორინგი.

ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგი, 2015წ

№	მუნიციპალიტეტი	ვაქცინოპროფილაქტიკის– ეპიდზედამხეველობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში	ქვეპროგრამის ,,დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ ფარგლებში	ჯამი
1	ბათუმი	274	100	374
2	ქობულეთი	137	58	195
3	ხელვაჩაური	105	16	121

4	ქედა	58	63	121
5	შუახევი	85	43	128
6	ხულო	64	63	127
7	ჯამი	723	343	1066

,,ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა'' ქვეპროგრამის მალარიის კომპონენტის ფარგლებში შესწავლილი იქნა წყალსატევების ანოფელოგენურობა, დადგინდა ფიზიკური და ანოფელოგენური ფართობები, მოხდა მათი პასპორტიზაცია, განისაზღვრა პირეტროიდების საჭირო რაოდენობა, რუტინულად ტარდებოდა ფენოლოგიური დაკვირვებები დაავადების ვექტორზე (კოღო ანოფელესზე ზრდის ფაზების შესაბამისად).

რეგიონში მალარიოგენული ტერიტორიის პასპორტიზაციის შედეგად აღირიცხა: ფიზიკური ფართობი - 639 ჰა, მ.შ. ანოფელოგენური - 516,36 ჰა, საანგარიშო პერიოდში, ბათუმში, ქედის, შუახევის, ხულოს, ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გამოკვლეულ იქნა:

3149.8ჰა ფართობი, მ.შ. ანოფელოგენური 2419ჰა; დაგამბუზირდა 514,1 ჰა წყალსატევი.

,,საქართველოს შავიზღვისპირა საკურორტო ზონაში ტრანსმისიული დაავადებების გადამტანებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარების თაობაზე" საქართველოს მთავრობის N1000 18.05.2015წ განკარგულების ფარგლებში:

350 კგ ინსექტიციდით (სოლფაკი) ორჯერადად დამუშავდა: ბათუმში – 170 000 კვ.მ, ქობულეთში – 100 000 კვ.მ, ხელვაჩაურში – 80 000 კვ.მ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის შიდა არეალი.

მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებები მუნიციპალურ ჭრილში, აჭარა, 2015 წ

მუნიციპალიტეტი	პასპორტიზაციის შედეგები	
	სულ აღრიცხული ფართობი (ჰა)	მ.შ.ანოფელოგენური (ჰა)
ბათუმი	129,25	119,6
ქობულეთი	418	317

ხელვაჩაური	74	65
ქედა	5,4	5,4
შუახევი	8	5
ხულო	4,36	4,36
ჯამი	639	516,36

ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა

- **თემატურ/საგანმანათლებლო ღონისძიებები მოსწავლე ახალგაზდობისათვის (კონკურსი/კონფერენცია/ფესტივალი)**

28 მაისი– მოსწავლეთა კონფერენცია ”იყავი თანამედროვე, აირჩიე ჯანმრთელობა”,

30 ნოემბერი –კონფერენცია თემაზე ,,სასკოლო დაავადებები"

მონაწილეებს გადაეცათ ფლეშ მეხსიერებები და სუვენირები.

26 ივნისი – ნარკომანიის საერთაშორისო დღესთან, 1 დეკემბერს შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, სამთავრობო და არასამთვარობო სექტორის თანამონაწილეობით ჩატარდა შეხვედრა, შეხვედრის მონაწილეებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

რეგიონის სკოლებსა და ბაღებში ჩატარდა ”ჯანმრთელობის გაკვეთილები”. განხორციელდა 177 ვიზიტი, 288 შეხვედრა, 7387 მსმენელი.

დამზადდა 6 ვიდეორგოლი: " C ჰეპატიტი”, ,,იმუნიზაცია ”, ,,თამბაქო", ,,ცოფი", ,,გრიპის პროფილაქტიკა“, ,,2016 წლის პროგრამები".

- **ღონისძიება – ,,მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში (ჯანსაღი სკოლა) _ პროგრამის 2015 წლის შედეგები**

პროგრამული ღონისძიებები მოიცავდა:

- ექიმ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ აჭარის სკოლების 1-8 კლასის მოსწავლეთა და რეგიონის ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა პირველად სკრინიგულ კვლევებს;

- საჭიროების შემთხვევაში წინასწარი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით უფასო ინსტრუმენტულ–ლაბორატორიულ გამოკვლევებს, სკრინინგის შემდგომ კონსულტაციას.
- პროგრამის შედეგების საფუძველზე მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნას;
- პროგრამის შედეგების მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზს / ინტერპრეტაციას.

ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი და შესრულებული ვიზიტები, აჭარა, 2015წ

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	დაგეგმილი ვიზიტები	შესრულებული ვიზიტები	სკრინინგი გაიარა (ბენეფიციარი)
ბათუმი	249	249	22 967
ქობულეთი	90	90	8 163
ხელვაჩაური	51	51	5210
ქედა	22	22	2 072
შუახევი	18	18	1 718
ხულო	32	32	3 038
ჯამი	462	462	43 168

წინასწარი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით ჩატარებული ინსტრუმენტულ–ლაბორატორიული გამოკვლევები: ექოსკოპია-390, რენტგენოგრაფია-259, ავტორეფრაქტომეტრია –245, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმ/გ–ვა 145, ოფთალმოსკოპია–63, ვიზომეტრია–221, სკრინინგის შემდგომი კონსულტაცია – 991.

ღონისძიებისფარგლებშიგამოვლენილი პირველადი პათოლოგიები(%),2015წ



➢ **ღონისძიება– ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში (სამიზნე ჯგუფი) 2015წ**

ღონისძიებით გათვალისწინებულია რეგიონის 0–200 000 მდე სარეიტინგო ქულის ორსულთა გამოკვლევა ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით:

- ❖ ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფიული გამოკვლევა
- ❖ თირეოტროპული ჰორმონის, თავისუფალი თიროქსინის განსაზღვრა
- ❖ ენდოკრინოლოგის კონსულტაცია

ღონისძიებით ისარგებლა:

1724 მა - 0-200 000 –მდე სარეიტინგო ქულის მქონე ორსულმა,

მ.შ. ბათუმში–1387, ხელვაჩაურში–126, ქობულეთში–117, ქედაში 28, შუახევში-31, ხულოში–35.

- ❖ ***ბენეფიციართა 40%–ში გამოვლინდა სხვადასხვა სახის პათოლოგია, მ.შ:***

დიფუზური ჩიყვი-25%

სუბკლინიკური ჰიპოთირეოზი-48%

აუტოიმუნური თირეოიდიტი-3%

კვანძოვანი ჩიყვი-1%

სხვა –23%

გამოკვლეულ ბენეფიციარებში გამოვლენილი დარღვევები, აჭარა, 2015 წ



➢ ღონისძიება – C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა დიაგნოსტიკა 2015 წელი

ღონისძიებით გათვალისწინებულია:

C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი და მკურნალობის მონიტორინგისათვის საჭირო კვლევების თანაგადახდის უზრუნველყოფა

2015 წლის 1 ივლისიდან ცენტრის მიერ გაცემული ვაუჩერების რაოდენობამ შეადგინა, მ.შ. მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი გამოკვლევების თანადაფინანსებისათვის: I ეტაპი – 580, II ეტაპი – 467, III ეტაპი –136, IV ეტაპი –152.

მკურნალობის მონიტორინგისათვის საჭირო გამოკვლევები – 339.

მომსახურება გაეწია სულ 603 ბენეფიციარს, მ.შ. მკურნალობაში ჩაერთო 128.

➢ კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში

ღონისძიებით გათვალიწინებულია:

40 ვიზიტი მაღალმთიანი აჭარის მუნიციპლალიტეტებში,

თითოეულ ვიზიტზე:

– ონკოლოგის, რადიოლოგის კონსულტაცია,

- პირველადი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით საჭიროების შემთვევაში:
- ონკოუროლოგის, ონკოგიენკოლოგის, ონკოლარინგოლოგის კონსულტაცია,
- ონკომარკერებზე ლაბორატორიული, ციტოლოგიური გამოკვლევა, PSA განსაზღვრა.

მაღალმთიანი აჭარის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების დონეზე შესრულდა 40 ვიზიტი, კონსულტაცია ჩაუტარდა 1681 ბენეფიციარს, მ.შ ქედაში–12 ბენეფიციარი – 491, შუახევში–12 ბენეფიციარი – 510, ხულოში–16 ბენეფიციარი –680.

დიაგნოზის დადასტურება:

გაწეული მომსახურება	2015 წელი
სულ ბენეფიციარი მ.შ.	1681
ლარინგოლოგის კონულტაცია	406
უროლოგის კონულტაცია	430
გინეკოლოგის კონულტაცია	407
PSA	232
საკვერცხის ონკომარკერი -CA-125	391
კუჭ–ნაწლავის ონკომარკერი -CA-19-9	364
კარცინოემბრიონალური ანტიგენი - CEA	406
სარძევე ჯირკვლის ექოსკოპია	432
ციტოლოგია	57

ღონისძიების ფარგლებში:
ჯანმრთელია 33%
გამოკვლეულ ბენეფიციართა
67%-ში გამოვლენილი პათოლოგიები :



2015 წლიდან ღონისძიება - სმენის სკრინინგი ახალშობილებში

ითვალისწინებს:

- სმენის პირველადი სკრინინგი (ოტოაკუსტიკური ემისიის რეგისტრაციის მეთოდი
- მეორადი სკრინინგი, ტიმპანომეტრია
- ობიექტური აუდიომეტრია

საანგარიშო სმენის პერიოდში პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა -666 ახალშობილს. მათ შორის: ქობულეთი - 464, ქედა -34, შუახევი-5, ხულო -163.

განხორციელდა მეორადი სკრინინგი –28, ტიმპანომეტრია –28

ობიექტური აუდიომეტრია–2.

2015 წლის მე–40 კვირიდან გრიპის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რისკ–ჯგუფებისათვის მოწოდებულ იქნა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა.

ჩატარებული ვაქცინაცია (უფასოდ) რისკ-ჯგუფების მიხედვით:

N	რაიონი	აცრილთა რაოდენობა დიაბეტიანებში	აცრილთა რაოდენობა დიალიზიანებში	აცრილთა რაოდენობა მოხუცებულთა და ბავშვთა სახლებში	აცრილთა რაოდენობა სამედიცინო პერსონალში	აცრილთა ჯამური რაოდენობა
1	ბათუმი	6	170	227	809	**1212**
2	ქობულეთი	4	38		115	**157**
3	ქედა	2			38	**40**
4	შუახევი				30	**30**
5	ხელვაჩაური	2			41	**43**
6	ხულო	1			68	**69**
7	აჭარა	15	208	227	1101	**1551**

2015 წლის განმავლობაში ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში სადიაგნოსტიკო ტესტებით გამოკვლეულ იქნა:

B ჰეპატიტის სადიაგნოსტიკო ტესტით –3479 ორსული,
აივ/შიდსის სადიაგნოსტიკო ტესტით – 3382,
სიფილისზე – 3511 ორსული.
C ჰეპატიტზე – 880 ორსული

B ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინით იმუნიზირებული იქნა 130 ბავშვი.

- **ოთახ–მაცივარი**

სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გადმოცემულ იქნა და დამონტაჟდა 10 მ3 მოცულობის ცივი ოთახი რეგიონისათვის საჭირო ასაცრელი მასალის კვარტალური მარაგის უსაფრთხოდ განთავსების მიზნით.

ცენტრში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, განახლდა ინფრასტრუქტურა

სსიპ აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტოს 2015 წლის

შესრულებული სამუშაოს ანგარიში

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აჭარის დასაქმების სააგენტო შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 13 სექტემბრის N43 დადგენილებით და ის ერთადერთი დასაქმების სახელმწიფო სამსახურია რეგიონის მაშტაბით, რომლის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტოს ერთერთ ფუნქციას, წარმოადგენს როგორც, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შევსება/განახლება, ასევე სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირება და მათი შრომითი მოწყობის მიზნით საშუამავლო საქმიანობის ორგანიზება. ამ მიზნით სააგენტოს მიერ 2015 წლის მონაცემებით, განხორციელებული საქმიანობის შედეგად მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირდა 2174 სამუშაოს მაძიებელი.

სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირებასა და მათი შრომითი მოწყობის მიზნით საშუამავლო საქმიანობის ორგანიზებას, ამ მხრივ სააგენტომ 2015 წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი სახის მომსახურება:

დამსაქმებელთან, კონკრეტული ვაკანსიის მოთხოვნების შესაბამისად გადაიგზავნა მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული 4956 პირის რეზიუმე; გასაუბრებაზე გაიგზავნა 1825 სამუშაოს მაძიებელი, ხოლო ინფორმაცია მიეწოდათ და შეთავაზებულ ვაკანსიაზე უარი განაცხადა 1033 - მა.

აღნიშნულ პერიოდში დასაქმების სააგენტოს შუამდგომლობით დასაქმდა 1345 სამუშაოს მაძიებელი

მათ შორის: გრძელვადიან სამუშაოზე - 855

დროებით სამუშაოზე - 195

ერთჯერად სამუშაოზე - 295

სულ 2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით დარეგისტრირებულია 18 683 სამუშაოს მაძიებელი, მათგან დასაქმდა 10 182.

შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერის კუთხით 2015 წელს დაიწყო მიზნობრივი პროგრამა ,,პროფესიული გადამზადება'', რომელსაც 2013 წლის პროფესიული გადამზადების პროგრამისაგან განსხვავებით დაემატა ქვეპროგრამები ,,სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული გადამზადება'', ,,35 წლის და ზევით ასაკის მოქალაქეების პროფესიული გადამზადება'', ,,ძალოვანი სტრუქტურის ვეტერანთა პროფესიული გადამზადება''. ასევე გაიზრდა პროგრამის მოსარგებლეთა რაოდენობა და ნაცვლად 200 -ისა , 250-მა ბენეფიციარმა დაიწყო სწავლება (3 გაირიცხა) ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში'' შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილ მოთხოვნად შემდეგ სპეციალობებში: მზარეული, კონდიტერი, სარესტორნო საქმის მწარმოებელი, სასტუმრო საქმის მწარმოებელი, შემდუღებელი, ამწის ოპერატორი, მძიმე ტექნიკის ოპერატორი, მასაჟისტი, რკინა - ბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე), შემდუღებელი, ამწის ოპერატორი, მძიმე ტექნიკის ოპერატორი. სულ პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 247 ბენეფიციარი, რომელთაგან დასაქმდა 72 სამუშაოს მაძიებელი.

პროფესია	გადამზადებულთა რაოდენობა
მზარეული	46
კონდიტერი	32
სარესტორნო საქმის მწარმოებელი	21
სასტუმრო საქმის მწარმოებელი	22
შემდუღებელი	20
ამწის ოპერატორი	39
მძიმე ტექნიკის ოპერატორი	47
მასაჟისტი	8
რკინა - ბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე)	12
სულ სააგენტოს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებშიგადამზადდა	**247**

ასევე 2015 წელს შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სააგენტოსა და სასწავლო კომპანია ,, Shadowsec International ''- შორის. ,,Shadowsec International''-იარის ინგლისური სასწავლო კომპანია, რომელიც ინდივიდუალურ ტრენინგებს ატარებს 4 კონტინენტზე, თემაზე - საინფორმაციო უსაფრთხოება და კიბერ-უსაფრთხოება. პატრიკ მაკილვის ხელმძღვანელობით Shadowsec International-ი საქართველოში კერძოდ ბათუმში, ტრენინგ ცენტრის გახნას გეგმავს, სადაც მოქალეაქეებს შესაძლებლობა ექნებათ გადამზადდნენ და მიიღონ საერთაშორისო სერთიფიქატები, რომლის საშუალებითაც ისინი დასაქმდებიან როგორც ამერიკაში ასევე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში.

მემორანდუმის მიზანია, მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების შესაძლებლობლობა, მათი შრომის ბაზრის თანამდეროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული მომზადება/გადამზადებით, შემდგომი დასაქმებისა და თვითდასაქმების პერსპექტივით.

სააგენტოს ერთერთი ძირითადი მიმართულებაა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა. მიმდინარე წლის აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით სააგენტოს თანამშრომლებმა, ევროკავშირის ,,საქართველოში პროფესიული განათლებისა და დასაქმების რეფორმის ტექნიკური დახმარების ცენტრის'' ორგანიზებით გაიარეს ტრეინიგ-სემინარი თემაზე ,,პროფესიული ორიენტაცია და კარიერული დაგეგმარება''. ტრეინიგის მთავარი საკითხები იყო: საბაზისო ცოდნის მიღება პროფესიული ორიენტაციის პოლიტიკასა და მომსახურეობის მიწოდებაზე; სხვადასხვა ქვეყნების წარმატებული პრაქტიკისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაცნობა; სხვა ქვეყნების პროფესიული ორიენტაციის პოლიტიკა და პოლიტიკის საფუძვლები; გასაუბრების ჩატარებისთვის საჭირო პროცედურების, მიწოდების სხვადასხვა მეთოდების შეფასება და კარიერული სამოქმედო გეგმის განხორციელების გზები. ამავე პროექტის ფარგლებში სექტემბრის ბოლოს, სსიპ აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტოს თანამშრომელები, სასწავლო ვიზიტით, იმყოფებოდნენ ხორვატიის რესპუბლიკაში. სწავლება კარიერის დაგეგმვის, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემებისა და სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობის საკითხებს დაეთმო.

ასევე სააგენტოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის (მილენიუმი) საქართველოს პროექტის ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის'' ორგანიზებულ სემინარზე - ,,პროფესიული განათლების სტუდენტების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება კომპანიებში'' და გაიარეს სამ დღიანი სწავლება.

დასაქმების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობის მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსა და ა(ა)იპ ,,დემოკრატიის ინსტიტუტს'' შორის.

აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებს, აჭარაში, ევროკავშირის მხარდაჭერით, განხორციელებული პროექტის, ,,დასაქმებაზე ორიენტირებული განათლებისა და განვითარების სისტემის ამოქმედება'' მხარდაჭერას და დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის საჭირო, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული უნარებისა და საკვანძო კომპეტენციების განვითარების სერვისების შემუშავებას.

აჭარის დასაქმების სააგენტოს ინიციატივით, შეიქმნა ,,დასაქმების სააგენტოს პარტნიორთა კლუბი", რომლის მიზანია კერძო, საჯარო, საერთაშორისო, დონორ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის რეგულარული, ინტერაქტიული თანამშრომლობა და ერთიანი კონცეფციისა და გეგმის შემუშავება. კოორდინირებულმა თანამშრომლობა ხელს შუწყობს მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელთათვის პროფესიული, საკვანძო კომპეტენციებისა თუ პიროვნული განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნას, როგორც ბიზნეს გარემოს სრულყოფის, წარმატებული საქმიანობისა და შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

მოსახლეობისათვის სააგენტოს საქმიანობის, სერვისებისა და 2016 წლის მიზნობრივი პროგრამების უკეთ გაცნობის მიზნით, მომზადდა სოციალური ვიდეო-რგოლი და სარეკლამო ბანერები.

საანგარიშო პერიოდში მუდმივად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს საჯარო და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა, დამსაქმებლებთან სანდო პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება და დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზის განახლება, საჯარო და კერძო სექტორში არსებული ვაკანსიების თაობაზე ინფორმაციის მოძიება და საზოგადოებისათვის მიწოდება.

სტრატეგიული გეგმა:

მიმდინარე 2015 წელს შემუშავდა სსიპ აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოს 2016-2019 წლების სტრატეგიული დოკუმენტი, რაც გულისხმობს სააგენტოს 2016-2019 წლებისათვის განსახორციელებელ სამოქმედო გეგმასა და ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს, რომელიც მიმართულია, ადამიანური რესურსების მდგრადი გაუმჯობესების, შესაზლებლობებისა და პოტენცილის განვიტარების, ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენების, ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის და სამუშაო ძალის ხარისხობრივი სრულყოფის გზით, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოსაფხვრელად. პოლიტიკის საბოლოო შედეგი უმუშევრობის თანმიმდევრული შემცირება იქნება.